

რეგიონული განვითარების შესახებ
ცოდნა და გამოცდილება –
თარგმანების სერია

ადგილობრივი და რეგიონული განვითარება
გლობალურ კონტექსტში

ენდი ჰაიკი, ანდრეის როდრიგეს-პოუს, ჯონ ბოენი

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ მომზადებულია სტატიების კრებული: „**რეგიონული განვითარების შესახებ ცოდნა და გამოცდილება - თარგმანების სერია**“.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს **ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სახელმძღვანელოს** (Pike, Rodríguez-Pose and Tomaney, *Handbook of Local and Regional Development*, London and New yourk: Routlege, 2006) ამონარიდს და თარგმანების სერიის ერთ-ერთი ნაწილია.

თარგმანი: ნათია ნადირაძე

რედაქტირება: ნინო ბექიშვილი

გრაფიკული დიზაინი: რევაზ აფხაზავა

შინაარსი

1. შესავალი.....	1
2. ტერიტორიული კონკურენცია	10
3. ალტერნატიული განვითარების სტრატეგიების საჭიროება რაიონებისა და რეგიონებისთვის.....	13

1. შესავალი

1960-იანი და 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ადგილობრივმა და რეგიონულმა განვითარებამ მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა როგორც ეროვნული სახელმწიფოების, ისე ადგილობრივი და რეგიონული მთავრობებისთვის. იმავდროულად, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების კონტექსტი დრამატულად იცვლება ეკონომიკური საქმიანობების მოდელში უკვე ღრმად გამჭდარი ცვლილებების შედეგად და, შესაბამისად, ბევრად უფრო მეტ გამოწვევას ქმნის. პირველ რიგში აქ იგულისხმება შესაძლო ხარისხობრივი ცვლილება, რომელიც ეხება უფრო „რეფლექსიური“ კაპიტალიზმისკენ გადასაცვლელს, რომელსაც ახასიათებს მოჭარბებული სირთულე, ბუნდოვანება, რისკი და ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ხასიათის დინამიური ცვლილებები.

ეკონომიკური სისტემა უფრო საერთაშორისო ხასიათს იძენს და შეიძლება ითქვას, რომ „გლობალიზდება,“ ხასიათდება სიღრმისეული ცოდნის საჭიროებითა და კონკურენციით. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი გლობალური ეკონომიკის გრძელვადიანი პერსპექტივები ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის, მხოლოდ ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ მისმა აღმოცენებამ გამოიწვია კონკრეტული სოციალური ჯგუფებისა და ტერიტორიების განვითარების პერსპექტივების კიდევ უფრო მწვავე უთანაბრობა და გააღრმავა გეოგრაფიული უთანასწორობა კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამ ყველაფერმა ეჭვქვეშ დააყენა მოსაზრება ტერიტორიული ზრდისა და განვითარების ინკლუზიური და მდგრადი ბუნების შესახებ და გააჩინა კითხვები იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება რაიონებისა და რეგიონების „წარმატებასა“ და „განვითარებაში“.

მეორე (და პირველთან მჭიდროდ დაკავშირებული) ასპექტი გახლავთ ის, რომ მთავრობისა და მმართველობის სტრუქტურები თანდათანობით მრავალდონიან, ხშირად დეცენტრალიზებულ სისტემებად გარდაიქმნება, რომელიც ადგილობრივ, რეგიონულ, ქვედა ეროვნულ და ზეეროვნულ მასშტაბებში მოქმედებით ხასიათდება. მიმდინარეობს არსებული ინსტიტუციების რეორგანიზაცია და ახლების აღმოცენება, ხოლო ახალმა - „თანამშრომლობაზე“ დაფუძნებულმა ურთიერთობებმა წამყვანი ფუნქცია შეიძინა ადგილობრივი და რეგიონული განვითარების მმართველობაში.

მესამე: ადგილობრივი და რეგიონული განვითარების გარდაქმნილმა რელიეფმა ინსტრუმენტებისა და საჯარო პოლიტიკის საშუალებით წაახალისა ჩარევის ახალი ფორმები, რომლებიც ცდილობს ზრდისა და განვითარების როგორც შიდა, ისე გარე ფორმების გამოყენებას. სხვადასხვა რაიონებმა და რეგიონებმა, დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით, შეძლო არსებული და განვითარებადი ახალი მიდგომებისა და ექსპერიმენტების გარდაქმნა ადგილობრივი და რეგიონული განვითარების შესაბამისად.

მეოთხე: ადგილობრივი და რეგიონული განვითარების შესახებ დებატებში, განვითარების რაოდენობრივ მახასიათებელზე აქცენტირება განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელზე ფოკუსმა შეცვალა, რაც, თავდაპირველად, გულისხმობდა ბუნებრივ გარემოზე ეკონომიკური განვითარების ზემოქმედებაზე ყურადღების გამახვილებას და, ასევე, შედეგად გამოწვეულ, განვითარების შემაფერხებელ შეზღუდვებს. თუმცა, მოგვიანებით, გაჩნდა უფრო ზოგადი დაინტერესება ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ. *მდგრად განვითარებასთან* დაკავშირებული ეს ახალი ინტერესი ყოვლისმომცველი გახდა, თუმცა თავად ტერმინი და მისი სავარაუდო მნიშვნელობა კვლავ მწვავე დავის საგნად რჩება. არსებობს მდგრადი განვითარების მრავალი განმარტება, მაგრამ მათგან ალბათ ყველაზე ცნობილი ეკუთვნის გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიას (World Commission on

Environment and Development), ანუ „ბრუნთლანდის კომისიას“, რომლის მიხედვითაც, განვითარება უნდა „აკმაყოფილებდეს არსებულ საჭიროებებს და, იმავედროულად, არ უქმნიდეს საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, იზრუნონ საკუთარ საჭიროებებზე“ (World Commission on Environment and Development 1987: 8). ამგვარი განმარტება კვლავ საკმაოდ საკამათოა (იხ. Williams and Millington 2004). კონტინუუმის ერთ ბოლოში მდგრადი განვითარების მიმართ არსებული მიდგომები ცდილობს ყურადღება გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, განახლებადი წყაროების განვითარება და არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი ექსპლუატაცია; მათ, ასევე, სწამთ, რომ შეიძლება ეკოლოგიური პრობლემების ტექნოლოგიის საშუალებით მოგვარება (რაც ზოგჯერ აღინერება, როგორც „ეკოლოგიური მოდერნიზაცია“). ამ თვალთახედვით, გარემოს დაცვითი პრაქტიკით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის ახალი ეტაპების სტიმულირება (Gibbs 2000; Murphy 2000a). კონტინუუმის მეორე ბოლოში არსებული მდგრადობის ვერსიების თანახმად, ამ პლანეტაზე არსებული რესურსები ამონრვადად აღიქმება და, შედეგად, ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური ზრდის შეზღუდვასა და, ზოგჯერ, მის შემცირებაზეც კი. ცხადია, ეს უკანასკნელი შეხედულება, ზოგადად, მოიცავს სამრეწველო საზოგადოებაში გავრცელებული არაეკონომიკური მოხმარების პრაქტიკის კრიტიკას და, ნაცვლად ამისა, ფოკუსირდება „კეთილდღეობის“ ხელშეწყობაზე, არამატერიალური საქონლის წარმოებასა და მოხმარებაზე, საკუთარი ძალების მეტ რწმენასა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებზე, რომლებიც არ ხელყოფს ბუნებას (Hines 2000). ამ კონტინუუმის რომელ წერტილშიც არ უნდა იყოს, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების წამყვანი კონცეფციები მაინც ზედმეტად „ეკონომისტური“ ჩანს, როდესაც ფასდება მდგრადი განვითარების საზომით, მაშინ, როდესაც ზრდის ტრადიციული საზომები, საუკეთესო შემთხვევაში, განვითარების მხოლოდ ნაწილობრივ ან შუალედურ მაჩვენებელს გვთავაზობს. პირველიდან ბოლო მაჩვენებლამდე გადასაცვლება მოითხოვს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ახალ საზომ სისტემას, რომელიც ფოკუსირებული იქნება არა მხოლოდ დასაქმებასა და შემოსავლებზე, არამედ, უფრო ზოგადად - ცხოვრების ხარისხზე (Morgan 2004; ასევე, იხილეთ Nussbaum and Sen 1993; Sen 1999).

ადგილობრივი და რეგიონული განვითარების კონტექსტში გლობალიზაციის პროცესი ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს. კაპიტალის, მუშახელის, საქონლისა და მომსახურების გაზრდილი მოძრაობის წყალობით, გლობალიზაცია ცვლის წესებს, რომლებიც ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მართავდა. გლობალიზაცია, რომელიც, გარკვეულწილად, შეიძლება წარმოადგენს სახელმწიფოებისა და ნეოლიბერალური ეკონომიკური მოთამაშეების მიერ პოლიტიკურ და სოციალურ საფუძველზე აგებულ ცნებას (Peck 1999; Jessop 2002), ყველაზე მოშორებულ ტერიტორიებსაც კი კონკურენციაში რთავს და აიძულებს ფირმებს, რაიონებსა და რეგიონებს უპასუხონ და მოერგონ ახალ ეკონომიკურ პირობებს. შედეგად, ეკონომიკურ და სოციალურ მოთამაშეებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უნევთ პროდუქციისა და მოხმარების ჩვევების რესტრუქტურისაცა, რაც ახალ პოტენციალსა და გამონგვევებს გვთავაზობს. მსოფლიოს ზოგიერთმა ფირმამ და ტერიტორიამ სარფიანად გამოიყენა გლობალიზაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის მიერ წარმოქმნილი შესაძლებლობები და შეიქმნა ისეთი გარემო, რომლითაც ახლა სარგებელს ნახულობს. თუმცა, სახელმწიფო ეკონომიკის გახსნა, ასევე, წარმოაჩინს იმ ადგილობრივ და რეგიონულ ეკონომიკურ სტრუქტურებს, რომლებსაც გლობალიზებულ გარემოში კონკურენციის განწევა სუსტად ან საერთოდ არ შეუძლიათ. არაეფექტიანი, არაადეკვატურად მართული და ხშირად დაბალტექნოლოგიური საწარმო სტრუქტურების ჩართვა კონკურენციაში ხშირად იწვევს ადგილობრივი წარმოების სტრუქტურების გარდაქმნას და გაუქმებასაც კი, უმუშევრობის წარმოქმნას ან, ცალკეულ შემთხვევებში, სამუშაო პირობების გაუარესებას (Stiglitz 2002).

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთი მოსაზრებით, გლობალიზაციის პროცესი ახალი სულაც არ არის (Williamson 1997; Hirst and Thompson 1999), ბოლო ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთქმედების დონის ზრდა უგულებელყოფილი ვერ იქნება. 1980-იანი წლების ბოლოდან ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის საერთო ჯამური (FDI) ნაკადები ხუთჯერ გაიზარდა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) 2000). მრავალმა ქვეყანამ გახსნა საზღვრები, გადაინაცვლა *დირიჟისტული (dirigiste)* – სახელმწიფოს მიერ მართული – ეკონომიკური დაგეგმარების სისტემიდან, იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციიდან ან ცენტრალურად დაგეგმარებული ეკონომიკიდან ლიბერალური თავისუფალი ბაზრების სხვადასხვა დონის სტრუქტურაზე. ეროვნული ეკონომიკის ლიბერალიზაციას ხშირად თან სდევს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პაკეტები, რომლებიც ფოკუსირდება ინფლაციის შეჩერებაზე, ფისკალური დეფიციტებისა და ვალების შემცირებასა და, გრძელვადიანი ინვესტირების ხელშეწყობის მიზნით, დაბალ საპროცენტო განაკვეთებზე.

სახელმწიფო ეკონომიკის გახსნა შეესაბამება ეკონომიკაში არსებული კვლევების დიდ მოცულობას, რომელიც მე-3 თავში განხილული შედარებითი უპირატესობის შესახებ კლასიკური თეორიების გამოძახილია. როგორც თეორიული, ასევე ემპირიული პერსპექტივიდან ეს თეორიები ხაზს უსვამს ღია ეკონომიკის ეკონომიკურ სარგებელს. გროსმანისა და ჰელფმანის, (1991), ქოუსა და ჰელფმანის (1995), ფრენკელისა და რომერის (1999) და ფიშერის (2003) ნაშრომები ყურადღებას ამახვილებს ღია ეკონომიკის გაუმჯობესებულ უნარზე, მიიღოს სარგებელი ვაჭრობისგან, კაპიტალის მოძრაობისგან, ტექნოლოგიის გავრცელების ეფექტისა და ტექნოლოგიის ტრანსფერისგან. ლიბერალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის მარესტრუქტურირებელი და პროდუქტულობის ეფექტები ასევე ხაზგასმულია სხვადასხვა ნაშრომში (მაგ., Kang and Johansson 2000). ემპირიული კვლევა ცდილობს, რომ დაადასტუროს ვარაუდი ღია ეკონომიკის გაუმჯობესებულ ეკონომიკურ შესრულებასთან დაკავშირებით. ზაქსი და ვარნერი (1995, 1997), ქოუს და სხვ. (1997) და ფიშერი (2003) განსაზღვრავენ ძლიერი დადებითი მიმართების არსებობას ქვეყნის ღიაობის ხარისხსა და მის ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც გამოწვეულია კაპიტალისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებული მოძრაობისგან სარგებლის მიღების უნარით. ამის საპირისპიროდ, სხვებს, როდრიკის (2000), შტიგლიცის (2002) ან უეიდის (2004) თაოსნობით, ეჭვი შეაქვთ ვაჭრობისა და საზღვრების გახსნის სარგებლიან გავლენაში ეკონომიკის ზრდაზე, რასაც ასაბუთებენ სოციალური და რეგიონული შეუსაბამობისა და უთანასწორობის ზრდით. უფრო მეტიც, გლობალიზაციაზე საუბარმა არ უნდა დაგვავიწყოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური აქტივობის მარეგულირებლის მუდმივი მნიშვნელობა, იქნება ეს ადგილობრივ, თუ რეგიონულ დონეზე.

ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის პაკეტების ერთობლიობამ გარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა ინფლაციის შემცირება ორ ან სამციფრიანი მაჩვენებლებიდან ერთციფრიან მაჩვენებლამდე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (Kroszner 2003). ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში აღინიშნა კაპიტალის დინების სწრაფი გაფართოება, ექსპორტის ზრდის გაძლიერება და ეკონომიკური წინსვლის არასტაბილურობის შემცირება 1980-იანებში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით (Ramey and Ramey 1995; Quinn and Woolley 2001). თუმცა, არსებობს უარყოფითი მხარეც: ლიბერალიზაციას არ სდევდა თან (შედარებით მცირე გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, სადაც სახელმწიფოს ჩარევა გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა, მაგალითად, ჩინეთში, ინდოეთსა და ირლანდიაში) მდგრადი გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება ან დასაქმების მკვეთრი ზრდა. მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე ქვეყანაში ბოლოდროინდელი ზრდა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე 1980-იანების „დაკარგულ ათწლეულში“ ('lost decade').

ამას გარდა, ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და მაკროეკონომიკური მდგრადობის საბოლოოებიც არ არის რისკებისგან თავისუფალი. 1995 წლის „ტეკილას ეფექტი“ მექსიკაში, 1997 წლის აზიურ კრიზისი ან 2002 წლის არგენტინის კრიზისი ხაზს უსვამს იმ ქვეყნების მაკროეკონომიკურ დაუცველობას, რომელთა ფისკალურ მენეჯმენტს ან ვალუტას გარე ინვესტორები „სუსტად“ მოიაზრებდნენ და რომელთა მრეწველობის დარგები ხშირად ვერ უმკლავდებოდა სწრაფ რესტრუქტურისაციას ან კონკურენციას განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიურ პროდუქტთან ან სხვა განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების უფრო იაფფასიან პროდუქტთან.



*ფოტო 1.1 გლობალიზაცია და აღმოსავლეთ აზიის აყვავება: სინგაპურის პორტის ხედი
წყარო: დევიდ ჩარლზის ფოტო*

გლობალიზაცია და ეკონომიკური დერეგულაცია შეიძლება, ასევე, უწყობდეს ხელს სოციალური და ტერიტორიული უთანასწორობის ზრდას იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებმაც ეკონომიკის ლიბერალიზაცია განახორციელეს (Wade 2004). სოციალური თვალთახედვიდან, არსებობს სოციალური უთანასწორობის ზრდის საფუძვლიანი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც, ხდება გარკვეული სოციალური ჯგუფებისა და / ან ტერიტორიების გარიყვა განვითარებისა და კეთილდღეობის მთავარი კერებისგან (Dowling 1999). პროდუქტულობის მატება და ზრდა - ადგილისა და დროის მიუხედავად - უფრო და უფრო უკავშირდება ტექნოლოგიურ პროგრესს. ახალი სანარმო-დანადგარების შემოტანა ან ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთოდები განაპირობებს მეთ პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას, თუმცა, ხშირად - დასაქმების ხარჯზე. სამუშაო ადგილების კარგვის გამომწვევი ამგვარი ეკონომიკური ზრდა იწვევს შესაფერისი უნარის არმქონე მუშახელის დიდი რაოდენობით შემცირებას და არაფორმალური ეკონომიკის გაფართოებას როგორც „განვითარებად“, ისე „განვითარებულ“ ქვეყნებში (Schneider და Enste 2000). შედეგად, ეკონომიკა, რომელიც ვითარდება გლობალიზაციის პროცესის შედეგად, ხასიათდება მეტი სოციალური და გეოგრაფიული პოლარიზაციით. გამყოფი ხაზი კარგი განათლების და სტაბილური ხელფასის მქონე პირებსა და შემთხვევით შემოსავალზე დამოკიდებული და არაფორმალურ ეკონომიკაში მყოფი მუშახელის მზარდ ჯგუფს შორის ამჟამად უფრო სწრაფად ფართოვდება (Esping-Andersen 1999).

ტერიტორიული თვალსაზრისით, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ადგილები და რეგიონები სარგებლობენ გლობალიზაციის პროცესით შექმნილი ახალი შესაძლებლობებიდან. ზოგადად, წარმატებულად ითვლება ის რეგიონები, რომლებიც რაღაც გამორჩეულს სთავაზობენ ადგილობრივი და რეგიონული სფეროების ტრადიციული სამფლობელოს მიღმა არსებულ ბაზრებს. „მოგებული“ რეგიონები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

■ **დიდი მეტროპოლიური რეგიონები:** ვრცელი ურბანული აგლომერატები როგორც „განვითარებულ“, ისე „განვითარებად“ მსოფლიოში, სადაც თავს იყრის მაღალი დამატებითი ღირებულების მომსახურების მრავალი აქტივობა. ბიზნესთან დაკავშირებული, ფინანსური, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული და სადაზღვეო მომსახურებები უფრო და უფრო მეტად კონცენტრირდება დიდ ურბანულ რეგიონებში, ისევე, როგორც მსხვილი კორპორაციების სათაო ოფისები (Taylor and Walker 2001). სანარმო ფაქტორების ასეთი თავმოყრისგან წარმოქმნილი აგლომერაციის ეკონომიკა იწვევს კვლევის, განვითარებისა და დიზაინის აქტივობების მიზიდვას ქალაქი-რეგიონების მეტროპოლისებში (Scott and Storper 2003). FDI ასევე მიედინება დიდი მეტროპოლიური ტერიტორიებისკენ, რითაც ამყარებს ქვედა ეროვნულ დონეზე სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას. მაგალითად, მეხიკო და მისი მიმდებარე შტატი იღებს მექსიკის მთლიანი FDI-ის 60%-ს; მადრიდმა მიიზიდა ესპანეთში არსებული მთლიანი FDI-ს 70%. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი ურბანული ტერიტორიების დინამიურობა არ ნიშნავს, რომ მათი ყველა მცხოვრები თანაბარ სარგებელს იღებს. მსხვილი ურბანული აგლომერატების უმრავლესობა მთელ მსოფლიოში განიცდის ორმაგი ეკონომიკის აღმოცენებას, რომელშიც სიმდიდრე და მაღალშემოსავლიანი სამსახურები თანაარსებობს ეკონომიკურ და სოციალურ სიდუხჭირესთან, მზარდ არაფორმალურ სექტორსა და მომსახურების სექტორში არსებულ დაბალანაზღაურებად, არასტაბილურ სამსახურებთან (Buck *et al.* 2002; Hamnett 2003).

■ **შუალედური სამრეწველო რეგიონები:** ტერიტორიების მეორე ჯგუფი, რომელიც, როგორც ჩანს, სარგებლობს სანარმო ფაქტორების გაზრდილი მოძრაობით მთელს მსოფლიოში, შუალედური სამრეწველო რეგიონებია. ტერიტორიების ამ ტიპისთვის ხშირად დამახასიათებელია საკვანძო სფეროების შრომის ღირებულების უპირატესობებთან, ხოლო პერიფერიული ზონების ადამიანურ კაპიტალთან და მისანვდლობის უპირატესობებთან გაერთიანება, რაც ახალ სამრეწველო ინვესტიციებს იზიდავს. მთიანი შტატები და პროვინციები

აშშ-სა და კანადაში იზიდავს მსხვილ სამრეწველო ინვესტიციებს, რომლებიც გაურბის ძველ სამრეწველო ზონას - ე. წ. „ჟანგიან სარტყელს“ - ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთსა და დიდი ტბების რეგიონში. რამდენიმე შუალედური ევროპული რეგიონი ცენტრალურ იტალიაში, სამხრეთ გერმანიაში და საფრანგეთში მსგავს ტენდენციას ავლენს. გლობალური თვალსაზრისით, ყველაზე დანინაურებული რეგიონები „განვითარებად“ მსოფლიოში, ასევე, შეიძლება მოიაზრობოდეს შუალედურ სამრეწველო რეგიონებად. ეს ეხება, მაგალითად, აშშ-ის მოსაზღვრე მექსიკურ შტატებს, სან პაოლოსა და ბრაზილიის სამხრეთ შტატებს, კარნატაკასა და მაჰარაშტრას ინდოეთში, მაგრამ მათგან ყველაზე მეტად - ჩინეთის საზღვაო-სანაპირო ზოლში მდებარე პროვინციებს. დაბალი ხელფასებისა შედარებით დახელოვნებული და პროდუქტიული მუშახელისა და ბაზრებზე წვდომის კომბინაციამ ისინი სამრეწველო ინვესტიციების პირდაპირ სამიზნედ აქცია. დღევანდელი მასწარმოების დიდი ნაწილი სწორედ ამ ადგილებშია თავმოყრილი.

■ **ტურისტული რეგიონები:** „განვითარებადი“ მსოფლიოს იმ რეგიონებს შორის, რომლებმაც მოახერხეს თავიანთი საბაზრო ნიშის პოვნა გლობალიზებულ ეკონომიკაში, ტურისტული ადგილებია. ისეთი ადგილები, როგორებიცაა კანკუნი (მექსიკა) ან ბალი (ინდონეზია) აყვავდა მთელი მსოფლიოდან ტურისტების დიდი ნაკადების მიზიდვის შესაძლებლობის გამო. სხვები, რომლებმაც მსგავს წარმატებას ვერ მიაღწიეს, ჯანსაღი და მეტ-ნაკლებად წარმატებული ტურისტული მრეწველობის შენებას ცდილობენ.

თუმცა, დინამიური სფეროები გლობალიზებულ მსოფლიოში უფრო გამონაკლისებია, ვიდრე ზოგადი წესი. ყველაზე ხშირად რეგიონებსა და რაიონებს უჭირს თავიანთი ეკონომიკის ქსოვილის მუდმივად ცვალებად პირობებთან მორგება. გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკური აქტივობა უფრო მოძრავი და შეუზღუდავი გახდა. თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით ინვესტირების შესაძლებლობამ აამაღლა მგრძობელობა ადგილობრივი და რეგიონული განსხვავებების მიმართ (Storper 1997). კონკურენტული უპირატესობა, რომლითაც გარკვეული ტერიტორიები სარგებლობდა წარსულში, მათი უნიკალური მდგომარეობის ან ნედლეულთან მათი სიახლოვის შედეგად, უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება. საინფორმაციო ტექნოლოგიის გაუმჯობესებას წვლილი შეაქვს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების „დელოკალიზებაში“ (საზღვრების გაფართოებაში). დელოკალიზების დაბალი ხარისხი აღინიშნება მომსახურებებში, რაც ხშირად გამოწვეულია უშუალო ურთიერთობისა და ნდობის საჭიროებით, თუმცა საბაზრო მომსახურებების ბედი ხშირად დაკავშირებულია სხვა სექტორებში არსებული ეკონომიკური აქტივობის დინამიურობასთან. შედეგად, ტრადიციულ სამრეწველო რეგიონებს, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებსა და რეგიონებს, რომლებსაც არ გააჩნია აშკარა შედარებითი უპირატესობა, გაუჭირდება ახალი ბაზრების ათვისება. ამასთან, ასეთი კომპანიები ხშირად კარგავს წილს საკუთარ ტრადიციულ ბაზრებზეც კი, რაც გამოწვეულია კონკურენციისადმი ეროვნული ეკონომიკის გახსნით. საბაზისო და მასობრივი წარმოების სამრეწველო კომპანიები, რომლებიც გადაურჩა და ხშირად განვითარდა კიდევ მონოპოლიის ან ოლიგოპოლიის პირობებში ფრაგმენტირებულ ეროვნულ ბაზრებზე, ხშირ შემთხვევაში იძლება ბაზრების ინტეგრაციისა და კონკურენციის წნეხის პირობებში. ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში ბაზრები დაიპყრო უფრო ტექნოლოგიურად განვითარებული რეგიონებიდან შემოსულმა იაფმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტმა, ხოლო ძლიერი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მქონე ტერიტორიები იძულებული არის გაუმკლავდეს არასრულყოფილ და შედარებით დახურულ მსოფლიო საკვების ბაზარს (Henson and Loader 2001).

ბოლოდროინდელი ეკონომიკური პროცესების შედეგი მთელ მსოფლიოში გამწვავებულია ეკონომიკური და სოციალური პოლარიზაცია (Rodríguez-Pose and Gill 2004). მაშინ, როცა

ზოგიერთი სახელმწიფოს ეკონომიკა, როგორებიცაა, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ჩინეთი და ირლანდია წარმატებული აღმოჩნდა ახალ პირობებში (თუმცა კი, თანმხლები სოციალური და ტერიტორიული უთანასწორობის ფონზე), განვითარებულ მსოფლიოში ბევრ ძველ სამრეწველო და შედარებით ჩამორჩენილ ტერიტორიას საკმაოდ გაუჭირდა; რამდენიმე აფრიკული, შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნის ეკონომიკა კი უფრო და უფრო მეტად ემიჯნება მსოფლიო ეკონომიკურ ციკლს. აფრიკის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის წილი არ იზრდება, რაც განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 1980-იანებში (Bloom and Sachs 1998).

მსოფლიოს ეკონომიკური პოლარიზაცია აისახება კონკრეტულ ქვეყნებზე. სხვადასხვა რეგიონის შესაძლებლობა, მოერგოს ახალ ეკონომიკურ კონტექსტს, იწვევს ეკონომიკური საქმიანობისა და სიმდიდრის კონცენტრირებას თითოეული ქვეყნის მხოლოდ რამდენიმე რეგიონში და ქვეყნების შიგნით მზარდ ეკონომიკურ სხვაობას იძლევა. შედეგად, შიდა ეკონომიკური უთანაბრობა იზრდება მაღალ, საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. ცხრილში 1.1 ნაჩვენებია რეგიონული უთანასწორობის ერთ-ერთი საზომი – ამ შემთხვევაში, ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული მშპ-ის განაწილების ბუნებრივი ლოგარითმის ცვალებადობა – შერჩეულ „განვითარებულ“ და „განვითარებად ქვეყნებში“ 1980-სა და 2000 წლებს შორის ან ბოლო წელს, ხელმისაწვდომ რეგიონულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ცხრილიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე მონაცემი. პირველი, სხვაობა შიდა უთანასწორობის განზომილებაში „განვითარებად“ და „განვითარებულ“ ქვეყნებს შორის. 2000 წელს ბრაზილიაში, ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში შიდა ეკონომიკური უთანასწორობა ორჯერ აღემატებოდა შიდა უთანასწორობის დონეს ესპანეთში, ხოლო სამჯერ - საფრანგეთსა და აშშ-ში არსებულ მაჩვენებელს. მეორე, ამ ნიმუშში შეყვანილი ყველა ქვეყანა, ბრაზილიის გარდა, განიცდის შიდა ეკონომიკური უთანასწორობის ზრდას 1980-იანი წლებიდან. თუმცა, მაშინ, როდესაც უფრო მასშტაბური ეკონომიკური პოლარიზაცია აშშ-ში, საფრანგეთსა და გერმანიაში 1980-იან წლებში მოხდა, ეკონომიკური უთანაბრობის ყველაზე დიდი ზრდა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში აღინიშნა 1990-იან წლებში. 1990-სა და 2000 წლებს შორის ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული მშპ-ის განაწილების ლოგარითმის ცვალებადობა გაიზარდა 1.2 პროცენტით ბრაზილიაში, 3 პროცენტით - იტალიაში, 11.6 პროცენტით - ესპანეთში, 13.6 პროცენტით - მექსიკაში, თითქმის 17 პროცენტით - ინდოეთში და 20 პროცენტით - ჩინეთში.

ეს შიდა პოლარიზაცია ხშირად ემთხვევა ეროვნული ეკონომიკის გახსნას. მაშინ, როცა მექსიკა 1970-იანებსა და 1980-იანების დასაწყისში ხასიათდებოდა შიდა ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით, ქვეყნის საზღვრების გახსნამ ვაჭრობისთვის, 1985 წლიდან მოყოლებული (რაც გამყარდა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (North American Free Trade Agreement (NAFTA) 1994 წლიდან), გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის მზარდი კონცენტრაცია მეხიკოსა და აშშ-ის მოსაზღვრედ მდებარე შტატებში (Sanchez-Reaza and Rodríguez-Pose 2002). ასევე, ბრაზილიაში შიდა რეგიონული უთანასწორობის ზრდა დაემთხვა ქვეყნის ეკონომიკის პროგრესულ გახსნას 1990-იანი წლებიდან მოყოლებული (Azzoni 2001). მზარდი სოციალური და ტერიტორიული უთანასწორობის ერთობლიობა, ასევე, მაღალი დამატებითი ღირებულების ეკონომიკური აქტივობის უფრო მეტი კონცენტრაცია საკვანძო რეგიონებსა და რამდენიმე პერიფერიულ ზონაში, რომლებმაც გლობალიზებულ ეკონომიკაში საკუთარი საბაზრო ნიშა იპოვეს, ბევრ (ამათგან რამდენიმე ყველაზე ღარიბ) ტერიტორიას მსოფლიოში საკმაოდ არასაიმედო მდგომარეობაში აგდებს. ადგილობრივი და რეგიონული განვითარების გამოწვევა განსაკუთრებით გამოიკვეთა 1970-იანებიდან.

ცხრილი 1.1 ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული მშპ-ის განაწილების ლოგარითმის ცვალებადობა, 1980–2000

	წელი			% ცვლილება		
	1980	1990	2000	1980–1990	1990–2000	1980–2000
„განვითარებადი“ ქვეყნები ჩინეთი	0.578	0.483	0.581	-16.31	20.200.60	
ინდოეთი	0.352	0.377	0.441	7.10	16.98	25.28
მექსიკა	0.388	0.383	0.435	-1.29	13.58	12.11
ბრაზილია	0.588	0.488	0.494	-17.01	1.23	-15.99
„განვითარებული“ ქვეყნები შეერთებული შტატები	0.136	0.152	0.148	11.76	-2.63	8.82
გერმანია	0.184	0.188	0.186	2.17	-1.06	1.09
იტალია	0.265	0.269	0.277	1.51	2.97	4.53
ესპანეთი	0.207	0.199	0.222	-3.86	11.56	7.25
საფრანგეთი	0.151	0.164	0.163	8.67	-0.29	8.36
საბერძნეთი	0.156	0.158	0.158	1.21	0.16	1.37
პორტუგალია		0.231	0.236		1.85	
ევროკავშირი		0.247	0.275		11.24	

შენიშვნები: ევროპის მონაცემები: ევროკავშირი 1980–1999; საბერძნეთი 1981–1999; საფრანგეთი 1982–1999. ყველა დანარჩენი - ცხრილში მოცემულის შესაბამისად. რეგიონალური მონაცემები მოპოვებულია EUROSTAT-ისა და ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისგან.

2. ტერიტორიული კონკურენცია

გლობალიზაციის კონტექსტში, მოძრავი კაპიტალისა და მუშახელის მოზიდვა-შენარჩუნების გამო შეჯიბრმა წარმოშვა მოსაზრებები, რომ კონკრეტული ადგილები და რეგიონები ამჟამად უშუალო კონკურენციაში იმყოფებიან. ამგვარი ტერიტორიული კონკურენციის არსებობამ გამოიწვია ყურადღების გამახვილება ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკის „კონკურენტუნარიანობაზე“, ინსტიტუტების მცდელობის ფონზე, შექმნან ინვესტიციის მიზიდვისა და მისი შენარჩუნებისთვის შესაფერისი პირობები. კრუგმანს (1995) ეჭვი შეაქვს კონკურენტუნარიანობის იდეის ფასეულობაში სახელმწიფოს ეკონომიკასთან მიმართებით, უწოდებს რა მას „საშიშ გატაცებას“ და იკვლევს, თუ როგორ გამოიყენება კონკურენტუნარიანობა სახელმწიფოს ეკონომიკის შესრულების განსამართავად. იგი აცხადებს, რომ კონკურენტუნარიანობა ეფუძნება შეუფერებელ ანალოგიას ფირმასა და სახელმწიფოს შორის, იმიტომ, რომ, ფირმებისგან განსხვავებით, ქვეყნები „ბიზნესიდან ვერ წავლენ“ (Krugman 1995: 31).

კრუგმანი, ასევე, უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნები კონკურენციას უწევნენ ერთმანეთს და აცხადებს, რომ საშინაო ცხოვრების სტანდარტები განისაზღვრება შიდა პროდუქტულობაში მიღწეული გაუმჯობესებით. „კონკურენტუნარიანობა“, მეორე მხრივ, წარმოადგენს უბრალოდ კარგად გამოსაყენებელ პოლიტიკურ მეტაფორას, რომელსაც პოლიტიკის განმსაზღვრელები იყენებენ პოლიტიკური არჩევანის დასასაბუთებლად, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული ეკონომიკური სექტორების მხარდაჭერა (Krugman 1995, 1996). თუმცა, კრუგმანი (1994) აღიარებს, რომ „რეგიონული კონკურენტუნარიანობის“ იდეა შეიძლება ბევრად უფრო აზრიანი იყოს, ვიდრე „სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა“, იმიტომ რომ რეგიონული ეკონომიკა უფრო ღიაა ვაჭრობის მიმართ, ვიდრე ეროვნული და წარმოების ფაქტორები უფრო ადვილად გადაადგილდება რეგიონიდან რეგიონში, ვიდრე ეროვნული ეკონომიკის შემთხვევაში. მაშასადამე, ტერიტორიული კონკურენციის იდეა შეიძლება სასარგებლოც იყოს, როდესაც მისი გამოყენება ხდება ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე. კამანი (2002) ამტკიცებს, რომ რეგიონებს შეუძლიათ ეფექტურად წავიდნენ ბიზნესიდან, თუ, მაგალითად, მოსახლეობის გადინება ან დაცარიელება ხდება. პოლიტიკური თვალსაზრისითაც, როგორც სახელმწიფოს ნაწილებს, რაიონებსა და რეგიონებს არ აქვთ წვდომა პოლიტიკური ინსტრუმენტების სახესხვაობაზე (როგორცაა მაგალითად, ვალუტის გაუფასურება, რომელსაც სახელმწიფო ტრადიციულად იყენებს ეკონომიკური აქტივობის დონის ფორმირებისთვის). რაიონები და რეგიონები, შემდეგ უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს ადგილობრივი ან რეგიონული კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად და მოძრავი ინვესტიციების მოსაზიდვად. კამანის აზრით:

დღესდღეობით რეალური მნიშვნელობა მხოლოდ ფაქტორებისა და პროცესების ორ მიმდევრობას აქვს: საერთო ჯამში - მაკროეკონომიკური მიდგომის შედეგად გამრდილი ამონაგების დაკავშირება განვითარების პროცესების ჯამთან და აქტივობების ერთობლიობასთან; მიკროეკონომიკურ და მიკროტერიტორიულ მიდგომაში - ცალკეული ფირმების მიერ სტრატეგიულად შექმნილი კონკრეტული უპირატესობები, ტერიტორიული სინერჯია და თანამშრომლობის შესაძლებლობა, რომელიც მყარდება შემოქმედებითი და პროაქტიული საჯარო მმართველობით, ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების მიერ შექმნილი ექსტერნალებისა და ტერიტორიული კულტურის მიერ ისტორიის განმავლობაში შექმნილი კონკრეტული ფაქტორების საშუალებით.

(Camagni 2002: 2405)

კამანის არგუმენტი გულისხმობს, რომ რაიონებსა და რეგიონებს შეუძლიათ და ვალდებულებიც არიან ჩაერთონ ტერიტორიულ კონკურენციაში. ამისდა მიუხედავად, ტერიტორიული კონკურენციის შესახებ დაწერილი კვლევების უმეტესობა ვარაუდობს, რომ ასეთი სტრატეგიები წამგებიანია (იხ. Logan and Molotch 1977 - კლასიკური ანგარიშისთვის). როდრიგეს-პომესა და არბიქსს (2001) მოჰყავთ „სრული ზარალის“ მაგალითი 1990-იან წლებში ბრაზილიის შტატებს შორის გაჩაღებული კონკურენტული / სატენდერო ომის სახით, რომელიც საავტომობილო მრეწველობაში ახალი ინვესტიციების მოზიდვა-შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ისინი აჩვენებენ, თუ როგორ აღმოჩნდა ყველა შტატი შეპყრობილი ინვესტიციის მოზიდვისთვის ბრძოლით, რომელსაც ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკის აღორძინებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მოტივით ამართლებდნენ. შტატები ხშირად გადაჭარბებით წარმოაჩენდნენ ინვესტიციების სავარაუდო სარგებელს, რათა დაესაბუთებინათ TNC-ისთვის უფრო და უფრო მზარდი ფინანსური სტიმულების მიწოდება, ხშირად საკუთარი ხაზინების დაცარიელების ხარჯზეც კი. შედეგად, ამ კონკურენციამ ძირი გამოუთხარა FDI-ს გრძელვადიან სარგებლებს. როდრიგეს-პომესა და არბიქსი (2001: 150) ასკვნიან, რომ „სატენდერო ომები, რომლებიც შტატების ხელმძღვანელობამ უმთავრეს და თითქმის ერთადერთ განვითარების სტრატეგიად დასახა, „სრული ზარალი“ აღმოჩნდა, რადგან არ გამოიწვია კეთილდღეობის შესამჩნევი ზრდა ადგილობრივ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე.“

მიმდინარე პერიოდში ტერიტორიული კონკურენცია მოიცავს არა მხოლოდ საწარმო ფირმების მიზიდვის მცდელობებს, არამედ, ასევე, იმ აქტივობებს, რომლებიც მოხმარებას წარმოშობენ. ტერიტორიული კონკურენციის ეს ფორმები ხშირად ვრცელდება დიდ ქალაქებსა და მეტროპოლიურ რეგიონებში. ამ ტიპის საქმიანობის კარგი მაგალითია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების, მაგალითად ოლიმპიადის ჩატარებისთვის გაჩაღებული კონკურენცია ან „კულტურის დედაქალაქის“ სტატუსის მინიჭება ევროკავშირის ქალაქებისთვის (Owen 2002; Shoval 2002; Garcia 2004). ამგვარი კონკურენცია მიმდინარეობს მსოფლიოს იმ ქალაქებში, რომლებიც მიზნად ისახავს გლობალური სტატუსის გამყარებას მზარდი ინტერუბანული კონკურენციის ხანაში, რათა დააფინანსონ [ამ ქალაქებში] დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამშენებლო პროექტები. ჩეშაირის და გორდონის თანახმად (1998), ამ ტიპის ტერიტორიულ კონკურენციაში ჩართვის სტიმული ყველაზე მძლავრია ეკონომიკურად უფრო ძლიერ, წამყვან მეტროპოლიურ რეგიონებში, რაც ხშირად მოქმედებს უფრო ფართო სივრცობრივი თანასწორობის საწინააღმდეგოდ. ხსენებული მიუთითებს ადგილებსა და რეგიონებს შორის კონკურენციის ეფექტური რეგულირების საჭიროებაზე როგორც ეროვნულ, ისე ბევროვნულ დონეებზე. რიზი (1992), ჩრდილოეთ ამერიკის მაგალითზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ რეგულაციის შესაფერის ფორმებს შეუძლია დადებითი შედეგის მქონე პოლიტიკის შექმნა. მკვლევარი [რიზი] მოძრავი ინვესტიციების მოზიდვისადმი ონტარიოში გავრცელებულ უფრო ინოვაციურ მიდგომას, რომელშიც (უფრო დეტალურად მე-7 თავში განვიხილავთ) ფინანსურ სტიმულებზე ფედერალური ზღვრებია დაწესებული, უპირისპირებს აშშ-ის იმ ქალაქებს, სადაც ეს ზღვრები არ მოქმედებს.

ცხრილი 1.2 ტერიტორიულად კონკურენტული პოლიტიკა

ნულოვან ჯამოვანი	ზრდის გაძლიერება	ქსელის გაძლიერება
სრული მხარდაჭერა	ტრენინგი	შიდა საინფორმაციო ქსელის აგება (ინფორმაციის გაცვლა)
მოძრავი ინვესტიციის მოპოვება	მენარმეობის ხელშეწყობა	გარე (არაადგილობრივი)
საინვესტიციო სუბსიდიები	ახალი ფირმების დახმარება	შეფასებების ნიშნულების გაკეთება
	საქმიანი რჩევა	კავშირები საავიაციო კომპანიებთან და ავიაგადამზიდებთან
სუბსიდირებული დანესებულება	გაურკვევლობის შემცირება	მსოფლიოს მასშტაბით ახალი ცოდნის ძიება

წყაროები: ჩეშაირისა და გორდონის მიხედვით (1998: 325); მალეკი (2004: 113)

აღბათ აუცილებელია გაიმიჯნოს ტერიტორიული კონკურენციის სხვადასხვა სახე და ვალიაროთ, რომ ზოგიერთი მათგანი თავისთავად მარალიანია, მაშინ, როდესაც სხვებს შეიძლება დადებითი ჯამური ეფექტები ჰქონდეს (Reese 1992; Cheshire and Gordon 1998; Camagni 2002; Malecki 2004). მე-2 თავში ჩვენს განხილვას თუ გავიხსენებთ, მალეკი ადარებს „ყალბ, „უპატიოსნო“ და „პატიოსან“, ცოდნაზე დაფუძნებულ პოლიტიკას“ (2004: 1103). ზემოთ აღწერილი ბრაზილიის შემთხვევა აშკარად პირველ კატეგორიაში ხვდება. მაგრამ ადგილობრივ და რეგიონულ პოლიტიკაში ჩარევის სხვა ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ზრდის უფრო ფართო საფუძვლის მქონე ფორმების წარმოქმნას ან იმ ქსელების გაფართოებას, რომლებიც საძირკველს უქმნის ადგილობრივ თანამშრომლობებს ან ეხმარება გარე ფირმების ინტეგრაციას ადგილობრივ ქსელებში ტექნოლოგიის გავრცელების ეფექტის გამოყენებისა და ამონაგების გაზრდის მიზნით, ეკონომიკური განვითარების საფუძველია, ამ სიტყვის დადებითი ჯამის, „გენერაციული“ მნიშვნელობით“ (Malecki 2004: 1114). ცხრილი 1.2 აჩვენებს ტერიტორიული კონკურენციის პოლიტიკის მაგალითებს. ჩეშაირი და გორდონი ასკვნიან, რომ:

„გაკვეთილი, რომელიც ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელებმა უნდა ისწავლონ, შემდეგია: უკვე არსებული წარმატებული ფირმების განვითარება და მათზე ზრუნვა. იმ დასაბუთების თანახმად, რომელიც ცხადყოფს, თუ რატომ ხდება ფირმა მოძრავი, ამის გაკეთების ერთ-ერთი ყველაზე ადვილი და ყველაზე ეფექტური გზა ისეთი პოლიტიკის გატარებაა, რომელიც უზრუნველყოფს იაფი (გონივრულობის ფარგლებში) საწარმო ტერიტორიების მზა მარაგს. როდესაც პოლიტიკა მიზნად ისახავს მოძრავ ინვესტიციებს, ხარისხზე დაფუძნებული (ფასზე დაფუძნებულისგან განსხვავებით) სტრატეგია, სავარაუდოდ, უფრო მეტ სარგებელს მოიტანს მოსახლეობის იმ ჯგუფის ადგილობრივი ტერიტორიული სააგენტოებისათვის, რომლებსაც პოლიტიკოსები წარმოადგენენ“.

(Cheshire and Gordon 1998: 342)

მაშასადამე, როგორც მე-6 თავში განვიხილეთ, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ინსტიტუტების ჩარევა, გადამწყვეტ როლს ასრულებს ისეთი გარე რესურსების მოზიდვასა და ინტეგრაციაში, როგორებიცაა FDI, პროფესიული ჯგუფები და სხვა საერთაშორისო მასშტაბით მოძრავი აქტივობები.

3. ალტერნატიული განვითარების სტრატეგიების საჭიროება რაიონებისა და რეგიონებისთვის

რა არჩევანი აქვს მოსახლეობას, ფირმებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს იმ რაიონებსა და რეგიონებს, რომლებსაც ურთულდებათ ახალ ეკონომიკურ სიტუაციასთან შეგუება? რომელი მიდგომების გამოყენება შეიძლება იმისათვის, რომ მოგვარდეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ზღუდავს ინდივიდების, ფირმებისა და ტერიტორიების ეკონომიკურ პოტენციალს მსოფლიოს მასშტაბით? ხალხს, ფირმებსა და საზოგადოებებს შეიძლება სჭირდებოდეთ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი უნარების განვითარება შესაფერისი რეაგირების და, ასევე, ახალი ეკონომიკური პირობებით შექმნილი გამოწვევების დასარეგულირებლად. მზარდად დომინანტურ და ყოვლისმომცველ კაპიტალისტურ გლობალურ ეკონომიკაში, გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებისა და მათთან მორგების გაუმჯობესებული უნარი აუცილებლად გულისხმობს ინდივიდების, ფირმებისა და ტერიტორიებისთვის იმ ფაქტორების უზრუნველყოფას, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს გაიტანონ თავიანთი უნარები, პროდუქტი და მომსახურებები გლობალურ ბაზარზე და კონკურენცია გაუწიონ სხვებს. ალტერნატიულად, ეს შეიძლება ნიშნავდეს თავშესაფრებისა და ზღუდების შენებას გლობალური კონკურენციის უხეში ძალების წინააღმდეგ ისეთი აქტივებისა და რესურსების შექმნით, რომლებიც ფოკუსირებულია ადგილობრივ და რეგიონულ საჭიროებებსა და მიზნებზე.

თუმცა, არ არსებობს რაიმე ერთ მარტივი და უნივერსალური გზა გლობალიზაციის მიერ შექმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად. არ არსებობს რაიმე უნიკალური ან უნივერსალური სტრატეგია, რომელიც შეიძლება მიესადაგოს ყველა ტერიტორიასა თუ რეგიონს, ადგილობრივი კონტექსტის მიუხედავად. წარსულის გამოცდილება აჩვენებს, რომ სხვადასხვა კონტექსტში განვითარების პოლიტიკის უბრალო რეპროდუქციას, როგორც წესი, სუსტი გავლენა აქვს ან საერთოდ ვერ მოქმედებს მდგრადი ადგილობრივი ან რეგიონული განვითარების, ასევე, ვერც გრძელვადიანი დასაქმების შექმნაზე (Storper 1997). ტრადიციული დადმავალი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების მიღწევისკენ, როგორც წესი, ერთი და იმავე ნაჭრისგან გამოჭრილი ჩანს და, ჩვეულებრივ, შედგება მიწოდებით მართული პოლიტიკისგან, რომელიც ფოკუსირებულია ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაზე ან მრეწველობისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიზიდვაზე. ამ მიდგომის ლოგიკა არის ის, რომ ხარვეზიანი წვდომა ან იმ ფირმების არარსებობა, რომლებიც შეძლებდნენ თავიანთ გარშემო დინამიური ინდუსტრიული ქსოვილის წარმოქმნას და ტექნოლოგიური ტრანსფერების შექმნას, ბევრი ჩამორჩენილ ტერიტორიას უქმნის პრობლემებს.

ადგილობრივი და რეგიონული განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნის პოლიტიკა, ამ ბოლო დრომდე, როგორც წესი, აიგებოდა ორი ღერძის გასწვრივ. პირველი ღერძი იყო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. ინფრასტრუქტურული ინვესტიციის სავარაუდოდ მაღალმა ამონაგებმა, რომელიც გამოავლინა ზოგიერთმა მკვლევარმა (მაგ., Aschauer 1989), ბიძგი მისცა რწმენას, რომ მისაწვდომობის გაუმჯობესება ჩამორჩენილი ადგილებისათვის პრობლემის გადაწყვეტას წარმოადგენდა. განვითარებისა და დასაქმების პოლიტიკა, შესაბამისად, წარმოიქმნებოდა ავტომაგისტრალების, წყალსადენების, სანტექნიკის, სატელეფონო ხაზებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების გარშემო. ასეთ ინვესტიციებს, სამუხაროდ, ყოველთვის არ მოაქვს მოსალოდნელი შედეგები. დაღმავალი და მიწოდებით მართული ამ მიდგომის მარცხის ერთ-ერთი ყველაზე თვალნათლივი შემთხვევაა იტალიური Mezzogiorno, სადაც, მიუხედავად იტალიის სახელმწიფოს მიერ ორმოც წელზე მეტ ხანს მსხვილი ინფრასტრუქტურული ინვესტიციისა, ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის საშემოსავლო ნაპრალი იმავე დონეზე რჩება, როგორც მანამ, სანამ ჩარევა დაიწყებოდა ომის მომდევნო წლებში (Trigilia 1992). უფრო ფართომასშტაბიან პერსპექტივაში, ზოგიერთმა კვლევამ, ასევე, ეჭვქვეშ დააყენა ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის ეფექტურობა, როგორც მდგრადი განვითარების სტრატეგია. ფილიპე მარტინისა (1999) და ვანდჰაუტის (და სხვების) (2000) კვლევა ევროპის მასშტაბით, აჩვენებს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის უცვლელ ან უარყოფით ამონაგებს.

მეორე ღერძი სტრუქტურირებული იყო ინდუსტრიალიზაციაზე დაფუძნებული დაღმავალი პოლიტიკის გარშემო. დიდი ფირმების შემოყვანა ან მოზიდვა სუსტი სამრეწველო ქსოვილის მქონე ტერიტორიებზე, განვითარებისკენ მიმართულ სხვა პოლიტიკასთან ერთად, რამდენიმე შემთხვევაში - მაგალითად, სამხრეთ ალმოსავლეთ აზიის ქვეყნების უმეტესობაში - აღმოჩნდა მათი ეკონომიკური აღზევების საკვანძო ფაქტორი (Storper 1997), ხშირად ძლიერი, სახელმწიფოს მიერ მართული ეროვნული განვითარების სტრატეგიის ფონზე. თუმცა, ეს პოლიტიკა არ ყოფილა განსაკუთრებით წარმატებული და მარცხის შემთხვევები ბევრად აჭარბებს წარმატების შემთხვევებს. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს იტალიური Mezzogiorno-ს მაგალითი. 1960-იან და 1970-იან წლებში შედარებით სუსტი ენდოგენური სამრეწველო ქსოვილის მქონე იტალიის სამხრეთში გემთსაშენების, გადამამუშავებელი ქარხნების, სამანქანო საწარმოებისა და ქიმიური საწარმოების დაარსება, რომლებიც მე-3 თავში განხილული პერუს (Perroux 1957) „ზრდის პოლუსის“ თეორიებით იყო შთაგონებული, არ დასრულდა ქვეყნის სამხრეთი ნაწილის სასურველი ინდუსტრიალიზაციით (Viesti 2000). კომპანიებმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ იტალიის მთავრობამ მასტიმულირებელი პაკეტებით მიიზიდა, ვერ შეძლეს ისეთი ინდუსტრიული კავშირებისა და ქსელების შექმნა, რომლებიც მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფდა. არაადეკვატური ადგილობრივი ეკონომიკური და ინსტიტუციური პირობები აბრკოლებდა დიდი „იმპორტული“ ფირმის გარშემო ადგილობრივი მომწოდებლების ქსელების შექმნას, რაც წარმოადგენდა კიდევ პოლიტიკის მთავარ მიზანს (Trigilia 1992). შედეგად, დიდი სამრეწველო კომპლექსების უმეტესობა გამიჯნული დარჩა ადგილობრივი გარემოსგან, როგორც „ტაძრები უდაბნოში“, რადგან მათი მთავარი მომწოდებლები და კლიენტები მოშორებით იყვნენ და არა ადგილობრივად - ან მიმდებარე ტერიტორიებზე (Lipietz 1980). მეტწილად ხარჯიანი მასტიმულირებელი პაკეტების არსებობის შეწყვეტის შემდეგ, რომლებმაც ამ ფირმების სამხრეთით გადანაცვლება გამოიწვია, რამდენიმე ბარალიანი ფირმა ადგილზევე დაიხურა, ზოგიერთი კი ჩრდილოეთში დაბრუნდა.

ინდუსტრიალიზაციის მსგავსმა პოლიტიკამ მსოფლიოს სხვა ადგილებშიც ვერ შეძლო სასურველი შედეგების მოტანა. საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკლებ განვითარებულ ქალაქებსა და რეგიონებში მდებარე ბევრმა ფირმამ, რომლებიც ისევ და ისევ პერუს Perroux's

(1957) განვითარების პოლუსის თეორიებით იყვნენ შთაგონებულნი, ვერ უზრუნველყო ნავარაუდები დინამიკისა და ინოვაციური ეფექტის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების საფუძვლად მოიაზრებოდა (Cuadrado Roura 1994). მსგავსი შედეგები მიიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში, რომლებიც მისდევდნენ იმპორტის ჩამნაცვლებელ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას 1980-იანი წლების შუამდე ან 1990-იანების დასაწყისამდე. ეროვნული ბაზრების დაცვამ ადგილობრივი მოხმარების წარმოქმნის და, ასევე, შუალედური და კაპიტალური სასაქონლო მრეწველობის მხარდაჭერა-ხელშეწყობის მიზნით, გამოიწვია შედარებით მსხვილი სამრეწველო ბაზის შექმნა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა ან ჩილე (ib Hernández Laos 1985; Cano 1993). თუმცა, შეზღუდული კონკურენციის ბაზრების, პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიების, დახურული საჭარო შესყიდვების, მონოპოლისტური და ოლიგოპოლისტური პრაქტიკის, ასევე, პროტექციონიზმის არსებობამ ამ ქვეყნების სამრეწველო ბაზის დიდი ნაწილი არაეფექტიანი გახადა მსოფლიო სტანდარტებთან მიმართებით. საბოლოოდ, მომხმარებლები იძულებულნი იყვნენ დაეფარათ ხარჯების უმეტესი ნაწილი, რაც გამომწვეული იყო, როგორც წესი, საერთაშორისო ბაზარზე ხელმისაწვდომთან შედარებით დაბალხარისხიანი პროდუქტისთვის მაღალი ფასების გადახდით (Love 1994; Cárdenas 1996). ლათინურ ამერიკაში კონკურენციისათვის საზღვრების გახსნამ ცხადყო ლათინური ამერიკის ქვეყნების სამრეწველო ბაზის სისუსტეები და გამოიწვია დეინდუსტრიალიზაცია და სამრეწველო სფეროში შექმნილი მრავალი სამუშაო ადგილის კარგვა (Rodríguez-Pose and Tomaney 1999; Dussel Peters 2000).


არსებობს ტრადიციული ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარუმატებლობის მრავალი და ცვალებადი მიზეზი. ზოგიერთი მათგანი პოლიტიკის დაგეგმვა - შემუშავებისა და განხორციელების მიღმაა. ზოგიერთ ტერიტორიაზე, მოსახლეობასა და საზოგადოებაში სუსტი ან არასაკმარისი განათლება და უნარები წარმატებული განვითარების მთავარი ხელისშემშლელი გახდა. სხვაგან, სუსტმა ადგილობრივმა ეკონომიკურმა სტრუქტურებმა საფრთხე შეუქმნა პოლიტიკის განვითარებაზე მიმართულ მცდელობებს. ცუდად მორგებული სოციალური და ინსტიტუციური კონტექსტებიც, ასევე, ხაზგასმულია, როგორც ტრადიციული განვითარების პოლიტიკის ცუდი შესრულების სავარაუდო მიზეზები (North 1990; Rodríguez-Pose 1999). თუმცა, ასევე, შიდა ფაქტორებიც, რომლებიც უკავშირდება განვითარების პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას, ისეთივე მნიშვნელოვანია, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა - როგორც გარე ფაქტორები. ამათ შორის უპირველესი არის ტრადიციული განვითარების პოლიტიკისთვის დამახასიათებელი შიდა უთანაბრობა. ხშირად, პოლიტიკის საყრდენი ლოგიკა იყო ფოკუსირებული იმაზე, რაც აღიქმებოდა განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად, იმ მიზნით, რომ პრობლემის გადაწყვეტას მაშინვე მდგრადი განვითარება მოჰყვებოდა. მაგალითად, თუ კონკრეტული ტერიტორიის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ცუდი მისაწვდომობა მოიაზრებოდა, მაშინ დიდ ინვესტიციებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურაში შეეძლო მისაწვდომობის პრობლემის მოგვარება და, შედეგად, შიდა ეკონომიკური დინამიზმის წარმოქმნა, ასევე, ძალიან საჭირო უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. იმ დროისთვის მდგრადი განვითარების პრობლემები არ იყო ადგილობრივი და რეგიონული განვითარების მიდგომების წინა პლანზე.

ასევე, ადგილობრივი სამრეწველო ქსოვილის სისუსტე შეიძლება მოგვარდეს დიდი ფირმების მიზიდვით რაიონსა თუ რეგიონში, რაც შექმნიდა პირდაპირ და არაპირდაპირ სამუშაო ადგილებს, წარმოქმნიდა ტექნოლოგიურ ტრანსფერებს, ტექნოლოგიის ეფექტის გავრცელებას და გამოიწვევდა მეწარმეობის განვითარებას. თუმცა, ამგვარი განვითარების პოლიტიკის გატარების ზეგავლენა, ზოგადად, იმედგაცრუების მომტანია მათი დაუბალანსებელი ბუნებიდან გამომდინარე. ინფრასტრუქტურაში დიდი ინვესტიციები,

განვითარების სხვა ფაქტორებზე (როგორებიცაა ადგილობრივი ფირმების მხარდაჭერა, ადგილობრივი ადამიანური რესურსის გაუმჯობესება, ან ტექნოლოგიის დიფუზია და ასიმილირება) სუსტი ყურადღების გამახვილებით ან მათი სრული უგულებელყოფით, ხშირად მხოლოდ არასრულყოფილ წვდომას ქმნის ბაზრებზე. სადაც ადგილობრივი ფირმები, მათი კონკურენტულობის შედარებით დაბალი დონის შედეგად, ცდილობენ დაიმკვიდრონ თავი გარე ბაზრებზე, უფრო კონკურენტული გარე ფირმები ყველაზე კარგად სარგებლობენ ჩამორჩენილ ტერიტორიებზე უკეთესი წვდომით, მოიპოვებენ რა ამ ბაზრების უფრო დიდ წილს და, შედეგად, ბევრ ადგილობრივ ფირმას ბიზნესიდან დევნიან (იხ. ცხრილი 1.1). ასევე არ არის სასურველი შედეგების მომტანი შიდა ინვესტიციაზე ხშირი დაყრდნობაც. გარემოს მოძრაობებისა და გამრავლების ეფექტის გამოწვევის ნაცვლად, სხვა ადგილებიდან მოყვანილი დიდი სამრეწველო კომპლექსები, ხშირ შემთხვევაში, მოიზიდება მხოლოდ სტიმულებითა და სუბსიდიებით და, როგორც წესი, განაპირობებს გარე ეკონომიკურ მოთამაშეებზე დამოკიდებულების ზრდას (იხ. ცხრილი 1.1) (Rodriguez-Pose and Arbix 2001; Mytelka 2000).

ტრადიციული განვითარების პოლიტიკის წარუმატებლობის გამომწვევი მეორე შინაგანი ფაქტორი არის სტანდარტიზებული პოლიტიკის ასლის გადაღების ტენდენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური პირობების მიუხედავად. პოლიტიკა, რომელიც მოიაზრებოდა წარმატებულად სპეციფიკურ შემთხვევაში, გადატანილი და განხორციელებულია თითქმის უცვლელად სხვა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტებში. ეროვნული დაგეგმარებისა და განვითარების სამსახურები, რომლებსაც ხშირად ეხმარებიან აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მთავარი დამნაშავეები არიან უნივერსალიზაციაში და ასეთი ზემოდან ქვემოთ დაღმავალი განვითარების მოდელებისა და პრაქტიკის roll-out-ში. თუმცა, სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური პირობა სხვადასხვა ადგილობრივ და რეგიონულ გარემოში შუამავლობს განვითარების პოლიტიკის ეფექტურობას და, ხშირ შემთხვევაში, გამოუწვევიათ იმ პოლიტიკის მარცხი, რომელიც სხვაგან წარმატებული აღმოჩნდა. ამას გარდა, სხვა ადგილებიდან შემოტანილ დაღმავალ პოლიტიკაზე დაყრდნობამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის გაუცხოება, როგორც განვიხილეთ მე-4 თავში, რომლებსაც ცოტა ან თითქმის არავითარი ჩართულობა არ ჰქონდათ თავიანთი ტერიტორიების მომავალი ეკონომიკური ხედვის შენებაში (Vázquez Barquero 1999, 2003).

ცხრილი 1.1 ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიის საფუძვლები და რისკები



წყარო: როლრიგგ-პომეს მიხედვით (2002b: 11)

ტრადიციული დაღმავალი პოლიტიკის მარცხმა, გლობალიზაციის მიერ წარმოქმნილ გამოწვევებთან ერთად, განაპირობა ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სერიოზული გადააზრება პრაქტიკოსებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების მიერ. შედეგად, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, აღმოცენდა ინოვაციური, აღმავალი ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკა (Stöhr 1990; Amin 2000). მიუხედავად იმისა, რომ დაღმავალი და ცენტრალიზებული პოლიტიკიდან ადგილობრივი და რეგიონული განვითარების აღმავალ მიდგომაზე გადასვლა არც ერთ დღე-ღამეში მომხდარა და არც ცალკეულ და ნათლად განსაზღვრულ თეორიულ საძირკველს ემყარება, ტერიტორიების განვითარებისადმი სპეციალურად მორგებული მიდგომების ეს მოდელი უფრო და უფრო ფეხს იკიდებს, როგორც ახალი განვითარების სტრატეგიების საფუძველი (Vázquez Barquero 2003).

კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ადგილობრივი და რეგიონული განვითარება, ამ წიგნის მთავარი თემაა და განიხილება მე-2 თავში. არსებობს ადგილობრივი და რეგიონული განვითარების მრავალი კონკურენტული თეორია და მოდელი, რომლებსაც მე-3 თავში მიმოვიხილავთ. მაშასადამე, გვაქვს ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ბევრი სხვადასხვა განმარტება. თუმცა, თეორიული მოდელების სიმრავლე და ის ფაქტი, რომ

ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიების შთავგონების მთავარი წყაროები იკვებება გამოცდილებითა და იმიტაციით, ხელს უშლის საყოველთაოდ მისაღები განმარტების ჩამოყალიბებას. მაშასადამე, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიები, როგორც წესი, მიმართავს მიდგომის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრას მისი კონკრეტული შინაარსის დადგენამდე. უაითი და გასერი (2001) ადგენენ ოთხ მახასიათებელს, რომლებიც ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიებს ახასიათებს: მოითხოვს ჩართულობასა და სოციალურ დიალოგს; დაფუძნებულია კონკრეტულ ტერიტორიაზე; გულისხმობს ადგილობრივი რესურსების მობილიზაციასა და კონკურენტულ უპირატესობებს; და იმართება ადგილობრივად და ემსახურება კონკრეტულ ტერიტორიას.

მთავარი განსხვავება ადგილობრივი და რეგიონული განვითარებისა და ტრადიციულ დაღმავალ მიდგომებს შორის შეჭამებულია ცხრილში 1.3 და უკავშირდება ხუთ სფეროს. პირველი, მაშინ, როცა ტრადიციულ დაღმავალ მიდგომებში გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ სად უნდა განხორციელდეს განვითარების სტრატეგიები, როგორც წესი, მიიღება ცენტრალური ეროვნული მთავრობის დამგეგმარებლებისა და დეველოპერების მიერ, ადგილობრივი და რეგიონული მოთამაშეების სუსტი ჩართულობით ან მათი ჩართვის გარეშე, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პრაქტიკას ურჩევნია განვითარების ხელშეწყობა – არა მხოლოდ განუვითარებელ ან ჩამორჩენილ, არამედ - ყველა ტერიტორიაზე - ყველა რაიონისა და რეგიონის ეკონომიკური პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობის მობილიზებით. განვითარების სტრატეგიის ინიციატივა შემდეგ მიიღება ადგილობრივად ან რეგიონულად, ან ძლიერი ადგილობრივი და/ან რეგიონული მხარდაჭერის საფუძველზე. მეორე, იმის შედეგად, თუ სად და როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, ტრადიციული პოლიტიკა, ზოგადად, მუშავდება, იმართება და ხორციელდება ეროვნული სამინისტროების ან ცენტრალური სამთავრობო სააგენტოების მიერ. ამის საპირისპიროდ, ადგილობრივი და რეგიონული მოთამაშეების ჩართვა ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიების შექმნასა და განხორციელებაში მიაჩნდება ყველა ჩართული მოთამაშის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციის უფრო მაღალ ხარისხზე. ვერტიკალური კოორდინაცია მოიცავს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და ზეეროვნული ან საერთაშორისო ინსტიტუტების სინქრონიზაციას. ჰორიზონტალური კოორდინაცია მოიცავს ადგილობრივ საჯარო და კერძო მოთამაშეებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან განვითარების საკითხებით (ცხრილი 1.3). მთავრობისა და რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მმართველობის ეს რთული მრავალდონიანი და მრავლმონაწილიანი კონტექსტი განხილულია მე-4 თავში.

ცხრილი 1.3 დაღმავალი და აღმავალი ადგილობრივი და რეგიონული განვითარების მიდგომები

ტრადიციული განვითარების პოლიტიკა	ადგილობრივი და რეგიონული განვითარება
დაღმავალი მიდგომა, რომელშიც გადაწყვეტილებები იმ ტერიტორიებისა და სფეროების შესახებ, სადაც ჩარევაა საჭირო მიიღება ცენტრალურად, სახელმწიფოს დონეზე;	ყველა ტერიტორიაზე განვითარების ხელშეწყობა, როდესაც ინიციატივა ხშირად ქვედა შრეებიდან მოდის;
იმართება სახელმწიფოს ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ	დეცენტრალიზებული, ვერტიკალური თანამშრომლობა მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის და ჰორიზონტალური თანამშრომლობა საჯარო და კერძო პირებს შორის

განვითარებისადმი სექტორული მიდგომა	ტერიტორიული მიდგომა განვითარებისადმი (რაიონი, ზოგადი გარემო);
მსხვილი სამრეწველო პროექტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აქტივობას	ყოველი ცალკეული ტერიტორიის განვითარების პოტენციალის გამოყენება ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან ადგილობრივი ეკონომიკური სისტემის პროგრესული მორგების ხელშესაწყობად;
ფინანსური მხარდაჭერა, სტიმულები და ეკონომიკური აქტივობის მოზიდვა	ძირითადი პირობების უზრუნველყოფა სუბსიდიებისთვის, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორისთვის.

წყარო: შედგენილია თავად ავტორის მიერ

მესამე ბაზისური სხვაობა განვითარებისადმი მიდგომის ტიპს უკავშირდება. ტრადიციული პოლიტიკა, როგორც წესი, ფოკუსირდება სპეციფიკური სამრეწველო სექტორების ხელშეწყობაზე, რომლებსაც წვლილი შეაქვს ეკონომიკური დინამიზმის წარმოქმნაში. ადგილობრივი და რეგიონული განვითარება მიმართავს ტერიტორიულ მიდგომას, როგორც ეკონომიკური განვითარების მიღწევის საშუალებას. ყველა ცალკეული ტერიტორიის ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური მდგომარეობების დიაგნოზი და ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა-გამოვლენა წარმოადგენს იმ საძირკველს, რომელსაც ამგვარი განვითარების სტრატეგიები ეფუძნება. უმეტესწილად, ტრადიციული პოლიტიკის სექტორულ მიდგომას მჭიდროდ უკავშირდება მსხვილი სამრეწველო პროექტების განვითარება, რომლებისგანაც ელოდნენ ხოლმე დამატებით ეკონომიკურ აქტივობას, ქსელების და ღირებულების ჯაჭვების წარმოქმნას, რაც საჭიროა მდგრადი განვითარების მისაღწევად. ამ ტიპის პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები ადრევე შეინიშნა და ფოკუსიც შეიცვალა. ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პრაქტიკოსები იძულებულები გახდნენ გამოევიდნათ და გამოეყენებინათ თითოეული ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და წახალისებინათ ადგილობრივი და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან პროგრესული მორგება (ცხრილი 1.3).

საბოლოოდ, დადმავალი და აღმავალი მიდგომები, ასევე, გამიჯნულია რაიონებსა და რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის მოზიდვის სხვადასხვა მეთოდით. მაშინ, როცა ტრადიციული მიდგომები ძირითადად დამოკიდებული იყო ფინანსურ მხარდაჭერაზე, სტიმულების პაკეტებსა და სუბსიდიებზე ეკონომიკური აქტივობის მოზიდვა-შენარჩუნების საკითხში, ადგილობრივი და რეგიონული განვითარება, ზოგადად, ერიდება ამგვარ მასტიმულირებელ პაკეტებს და კონცენტრირდება ბაზისური მიწოდების პირობების გაუმჯობესებაზე, მეტი / დამატებითი ეკონომიკური აქტივობის განვითარებისა და მოზიდვისთვის.

ვაზკემ ბარკეროს აზრით (1999), ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიები, როგორც წესი, აიგება იმ სამმაგი სქემის გარშემო, რომელიც ფარავს ეკონომიკური *ტექნიკური, პროგრამული და „ორგანიზაციული უზრუნველყოფის“* განვითარებას. ტექნიკური უზრუნველყოფის განვითარებას მრავალი ფაქტორი აქვს საერთო განვითარების პოლიტიკასთან, როგორებიცაა ბაზისური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ქსელების, სამრეწველო სივრცისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შემქნა / აგება (განათლების, ჯანმრთელობისა და კულტურული დანესებულებების ჩათვლით).

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება მიუთითებს ამომწურავი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ფარდობითი უპირატესობების დიაგნოზზე და ყოველი ცალკეული ტერიტორიის რესურსებთან დაკავშირებულ დაბრკოლებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფები და ორგანიზაციები, ანუ 'დაინტერესებული მხარეები' – ხშირად გარე ექსპერტების ჩართულობით – განსაზღვრავენ და ადგენენ ყოვლისშომცველ სტრატეგიას ამ პოტენციალის შესრულების მიზნით. ეს სტრატეგიები, როგორც წესი, წარმოიქმნება ოთხი ღერძის გარშემო: ადგილობრივი ფირმების კონკურენტულობის გაუმჯობესება, შიგნით მიმართული ინვესტიციების მოზიდვა, ადამიანური კაპიტალის ან სამუშაო უნარების განახლება-გაუმჯობესება, და ინფრასტრუქტურის შენება (ცხრილი 1.1). ძირითადი მიზანი არის ამომწურავი და დაბალანსებული ადგილობრივი ან რეგიონული განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა-შემუშავება, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობის ინტეგრაციას უზრუნველყოფს. ამ თვალთახედვიდან, ნებისმიერ ზემოხსენებულ ღერძში ჩარევა ხდება კონკრეტულ ტერიტორიაზე გლობალურ სტრატეგიულ ჩარჩოში ეკონომიკური აქტივობის დაფუძნებისა (იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიკური აქტივობა უფრო თავისუფალი და გეოგრაფიული სხვაობებისდამი უფრო მგრძობიარეა) და, ასევე, ყოველი ტერიტორიის ეკონომიკური პოტენციალის შესრულების მიზნით. ეს ნიშნავს ამომწურავ და დაბალანსებულ სტრატეგიას, რომელშიც, მაგალითად, შიდა ინვესტიციების მოზიდვაში ჩადებულ ნებისმიერ მცდელობას შეესაბამება შესაბამისი და კოორდინირებული ზომები, რომლებიც გამიზნულია ადგილობრივი ეკონომიკური ქსოვილის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი შრომის რესურსების გაუმჯობესებისკენ. ასევე, შრომის უნარების გაუმჯობესება უნდა იყოს კოორდინირებული და სინქრონიზებული ადგილობრივი ფირმების გაძლიერების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი რესურსების მოზიდვის [და სხვა მსგავსი აქტივობების განხორციელების] მცდელობებთან ერთად (ცხრილი 1.1). ასეთი დაბალანსებული და ინტეგრირებული მიდგომა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოთამაშეების სისტემატური ჩართულობით დაგეგმვა-განვითარების პროცესში და ნებისმიერი ტერიტორიის ეკონომიკური პოტენციალის ფრთხილი ანალიზით.

სწორი აქტივების, კონკურენტული უპირატესობებისა და სტრუქტურული შეფერხებების ვერგამოვლენის, ან სტრატეგიის ცუდად განხორციელების რისკები მაღალია. მაგალითად, ჭარბი ყურადღების გამახვილება შიდა ინვესტიციების მოზიდვაზე, დიდი ალბათობით, გააძლიერებს კონკრეტული ტერიტორიის დამოკიდებულებას გარე ეკონომიკურ მოთამაშეებზე. ასევე, მოსახლეობის განათლებისა და კომპეტენციის გაუმჯობესება ადგილობრივი მრეწველობის დარგების კონკურენტულობის მსგავსი ხარისხით გაუმჯობესების ან უცხოური რესურსების მოზიდვის გარეშე, შეიძლება დასრულდეს შეუთავსებლობით განათლებისა და კომპეტენციის რესურსსა და დასაქმების მოთხოვნას შორის, რაც წარმოშობს უკმაყოფილებას და შესაძლო „ტვინების გადინებას,“ ან მაღალკვალიფიციური პირების ქვეყნიდან წასვლას. ადგილობრივი მრეწველობის კონკურენტულობის გაძლიერებამ, რომელსაც არ ახლავს თან სამუშაო უნარების ან შიდა ინვესტიციის მოზიდვის შესაბამისი გაუმჯობესება, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება საფრთხე შეუქმნას ინოვაციის შექმნისა და მისი ასიმილირების უნარს ადგილობრივ ფირმებში და, ამგვარად შეასუსტოს მათ კონკურენტულობა (ცხრილი 1.1).

დაბალანსებული ადგილობრივი ან რეგიონული განვითარების სტრატეგიის წარმატებულ დაგეგმვასა და განხორციელებას შეუძლია სოციალური, ეკონომიკური და, ხშირ შემთხვევაში, გარემოს დაცვის თვალსაზრისით მდგრადი განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივ პირობებზე დამოკიდებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობის განხორციელებით და

სტრატეგიის ადგილობრივად და რეგიონულად მართვის საშუალებით შექმნილი სამუშაო ადგილები უკეთესი ხარისხის იქნება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიდრე მაშინ, თუ სამუშაო ადგილების შექმნა დაკავშირებული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მცირე ან ნულოვანი კონკურენტული უპირატესობის მქონე ადგილობრივ ფირმებთან საკმაოდ არასაიმედო საბაზრო სიტუაციაში, ან გარე კომპანიებთან, რომლებსაც რაიონთან მცირე ან ნულოვანი კავშირი აქვთ დადგენილი მარაგის ან მომხმარებლის ჯაჭვის სახით (Rodríguez-Pose 1999).

დაბოლოს, ნებისმიერი ადგილობრივი ან რეგიონული განვითარების სტრატეგია, ასევე, მოიცავს იმას, რასაც ვაზკემ ბარკერო (1999) უწოდებს *orgware-ს* (*ორგანიზაციულ უზრუნველყოფას*), რაც ნიშნავს ორგანიზაციული და ინსტიტუციური უნარის დახვეწას განვითარების მთლიანი სტრატეგიის დაგეგმვა-შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. *Orgware-ის* განვითარება სცდება მთავრობის სხვადასხვა დონის, ადგილობრივი საჭარო და კერძო მოთამაშეების უბრალო ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კოორდინაციას და წარმოშობს მმართველობის მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც უნდა მოაგვარონ საერთო ინსტიტუტებმა (Newman 2000; Hauswirth *et al.* 2003; Leibovitz 2003). ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ინიციატივებთან დაკავშირებული რთული მმართველობის სისტემების წარმოშობა ხშირად მოიცავს თანამშრომლობისა და რეგიონული კოორდინაციის ახალ ფორმებს (Brenner 2003: 297). ინსტიტუციებისა და მმართველობის სისტემების განვითარება, ასევე, ესწრაფვის მოსახლეობის გაძლიერების ხელშეწყობას და ცდილობს დაეხმაროს ინდივიდებსა და საზოგადოებებს თავად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი. იგი, ასევე, ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და სოციალური და ეკონომიკური პროგრესის პროცესებისთვის ძირეული ქსელებისა და თანამშრომლობების ფორმირებას. თუმცა, გასათვალისწინებელია შემდეგიც: მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერება წარმოადგენს ნებისმიერი ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიის საკვანძო ელემენტს, ის მაინც ვერ იქნება მოაზრებული სტრატეგიის ერთადერთ ამოცანად. საზოგადოების გაძლიერება წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას საერთო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, რომელიც ეკონომიკურ და გარემოს თვალსაზრისით მდგრად განვითარებას და მეტი ეკონომიკური დინამიზმისა და სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს.

საერთო ჯამში, არსებობს რამდენიმე სოციალური და ეკონომიკური უპირატესობა, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიების მიღებას გლობალიზებულ სამყაროში ტრადიციული განვითარების პროგრამების გამოყენებასთან შედარებით. სოციალური უპირატესობები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

■ ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიები აძლიერებს ადგილობრივ საზოგადოებებს და ხელს უწყობს ადგილობრივ დიალოგს. ხალხი, რომელიც ცხოვრობს მსოფლოს ისეთ ზონებში, სადაც, ბოლო დრომდე, მათ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობაში ხმის უფლება ან ამ აქტივობაზე კონტროლი შეზღუდული ჰქონდათ, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიების გამოყენებით, თანდათანობით ავტონომიის გარკვეულ ხარისხს მოიპოვებს და ივითარებს უფრო პროაქტიულ დამოკიდებულებას მდგრად განვითარებასა და საკუთარ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით.

■ ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სტრატეგიებს შეუძლიათ დაეხმარონ ადგილობრივი და რეგიონული ინსტიტუტების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას და ხელი შეუწყონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ მიდგომის უპირატესობები, ასევე (თუ უფრო მეტად არა), მნიშვნელოვანია და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები, კონკრეტულ ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობის ინტეგრაციასთან, ამ ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობის კონკრეტულ (მოცემული ადგილისთვის დამახასიათებელ) ეკონომიკურ პირობებსა და შედარებით უპირატესობებზე დამოკიდებულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნებიდან გამომდინარე, ქმნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილებს იმ ფირმებში, რომლებსაც გლობალურ ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებების გადატანის მეტი შესაძლებლობა აქვთ.
- ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და კონკრეტულ ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობის დაფუძნების შედეგად, ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების / დასაქმების ხარისხის ზოგად გაუმჯობესებას.

თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკას ხარვეზებიც ახასიათებს და ეს მიდგომაც არ არის თავისუფალი რისკებისგან. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მას შეიძლება ძალიან დიდი დრო დასჭირდეს. ადგილობრივი და რეგიონული კოალიციების განვითარება და ადგილობრივი და რეგიონული დაინტერესებული პირების კოორდინაცია ერთმანეთში და სხვა ინსტიტუციურ მოთამაშებთან მოითხოვს უზარმაზარ ორგანიზაციულ ძალისხმევას და საჭიროებს საკმაოდ დიდ დროსა და რესურსებს უშუალოდ განვითარების პროცესის დაწყებამდე. მაშინაც კი, როდესაც საკვანძო ადგილობრივი და რეგიონული ინსტიტუციები დაფუძნდება, არ არსებობს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი წარმატების გარანტია. არსებობს, ასევე, რისკი იმისა, რომ ვერ მოხერხდება ყველაზე შესაფერისი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა, შემუშავება ან განხორციელება. სწრაფად ცვალებად და რთულ კონტექსტში, ეს რეალურად რთული ამოცანაა. ადგილობრივი და რეგიონული მოთამაშეების ჩართულობას შეიძლება რამდენიმე უპირატესობა ჰქონდეს, როგორცაა საზოგადოებების გაძლიერება, გაზრდილი გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და უფრო მეტი სიახლოვე მათთან, ვინც წვლილი უნდა შეიტანოს განვითარების პროცესში და საბოლოო ჯამში, მეტი სარგებელიც მიიღოს მისგან. ამან შეიძლება წაახალისოს ადგილობრივი მოსახლეობა, ზოგადად და, განსაკუთრებით, ადგილობრივი ეკონომიკური მოთამაშეები უფრო აქტიურად ჩაერთონ მათი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მეტად გარისკონ. თუმცა, ადგილობრივი მოთამაშეების უბრალო ჩართულობა არ წარმოადგენს რაიონებისა და რეგიონებისთვის შესაფერისი და ტექნიკურად ეფექტური სტრატეგიების არჩევის გარანტიას. ზოგიერთ შემთხვევაში, შედეგი შეიძლება იყოს დაუბალანსებელი განვითარების სტრატეგიების მიღება, რომლებსაც, დიდი ალბათობით, ვერ ექნება საშუალოვადიანი მდგრადი განვითარების სტიმულირების უნარი. პირადი დაინტერესების მქონე ჯგუფებმა, „სასწაულებრივი გადარჩენის“ და სწრაფი შედეგების მიმართ საზოგადოების სურვილმა, ხშირად პოპულისტი პოლიტიკოსების არსებობასთან ერთად, შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიანი, მხოლოდ თვალსაჩინოებაზე გათვლილი პოლიტიკა და უფრო დაბალანსებული სტრატეგიების უგულებელყოფა, რომელთა გრძელვადიან გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს მყისიერი ზემოქმედება ან საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა.



კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
ოთარ ჩხეიძის #5 თბილისი 0177, საქართველო
(995 32) 2 20 67 74/75

www.ctc.org.ge
ctc@ctc.org.ge